

რომელი ენიდანაა თარგმნილი *საქმე მოციქულთას* ქართული ვერსია?

ბერნარ უტიე

საფრანგეთი

რეზიუმე: ქართული ბიბლიური ტექსტების წარმომავლობის საკითხი დღესაც ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემად რჩება. თუ რომელი ენიდან იყო თარგმნილი ბიბლიურ წიგნთა უძველესი ქართული რედაქციები, ამ საკითხს, არა კომპლექსურად, მაგრამ ცალკეულ წიგნთა თუ რედაქციათა მაგალითზე, ბევრი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეხებია. ევროპულ აღმოსავლეთმცოდნეობაში და ნაწილობრივ ქართველ ფილოლოგთა წრეშიც თანდათანობით ის აზრი გახდა პოპულარული, რომელიც ნ. მარის, ი. მოლიტორის, რ. ბლევის, ი. ასფალგის და კიდევ სხვათა მიერ ჩატარებული კონკრეტული ძეგლების ანალიზის საფუძველზე ქართულ ბიბლიურ წიგნთა უძველეს თარგმანებს სომხური ენიდან შესრულებულად თვლის. უკანასკნელ ათწლეულებში ქართულ მეცნიერებაში ამ შეხედულების ალტერნატიული თვალსაზრისი გამოიკვეთა, რომელიც ბიბლიური წიგნების თავდაპირველ ქართულ რედაქციებს უპირატესად ბერძნულ დედნებს უკავშირებს და სომხურის კვალს შემდგომი ეპოქის გადამუშავებად მიიჩნევს. ეს თვალსაზრისი ეფუძნება შუასაუკუნეების საქართველოში დამკვიდრებულ აზრს, უძველესი ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფაქტებს, ბიბლიური ტექსტების ხანმეტური ფრაგმენტების უახლეს ფილოლოგიურ ანალიზს, სომხურ-ქართული საეკლესიო და კულტურული ურთიერთობების ისტორიული პროცესის მონაცემებს. ამ პრობლემას ეხება ბერნარ უტიეს წინამდებარე ნარკვევი, რომელიც კონკრეტულად *საქმე მოციქულთას* უძველესი ქართული რედაქციის სომხურიდან მომდინარეობის თვალსაზრისს კრიტიკულად განიხილავს და დაასკვნის: "ზუსტი არ ჩანს პროფ. გარიტისა და ევროპაში ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ საქმე მოციქულთა თარგმნილია სომხურიდან."

რედაქტორი

საკვანძო სიტყვები: *საქმე მოციქულთა, ჟ. გარიტი*

პროფ. ჟ. გარიტმა ლუვენში გამოსცა საქმე მოციქულთას ძველი ქართული ვერსია სინას მთის ორი ხელნაწერის

მიხედვით 1955 წელს [1]. იმ დროს მას ხელთ არ ჰქონდა 1949 წლის ი. აბულაძის გამოცემა [2].

აი, რას წერს შესავალში: ქართული ვერსიის მნიშვნელობა იმთავითვე ჩანს ბევრ საყურადღებო კითხვასხვაობაში, მაგალითად შემდეგში:

I, 26. თანაშეერაცხა ათერთმეტთა მოციქოვლთა მეათორმეტედ; შეადარეთ წმინდა ავგუსტინეს Contra Felicem manichaeum (ფელიქს მანიქველის საწინააღმდეგოდ) I, 4 [3, 11] simul deputatus est cum undecim apostolis duodecimus (შეერაცხა ერთად თერთმეტ მოციქულთა თანა თორმეტად).

VIII, 27. ინდოჲ და ინდოეთი, Αιθιοψ და Αιθιοπαι-ის შესატყვისად; სირიულულ (ფეშიტთა): ܐܢܘܢ (ეთიოპი) et ܐܢܘܢܝܢ (ეთიოპიის); სომხური ვულგატა: Եթևիպայցի (ეთიოპი) et Եթևիպայցուց (ეთიოპთა). მაგრამ ეფრემის თარგმანებაში, რომელიც სომხურად შემონახულია და გამოსცა ნ. აკინიანმა [4, 19] 1, 5: հոգոյն որ ի Հնդիկս գործէր (სული რომელი ინდოეთს მოქმედებდა).

VIII, 35. წიგნთა ამათ გან: απο της γραφης ταυτης (წიგნი მრავლობითშია, ბერძნულად კი მხოლოდითში); შეადარეთ სომხური ვულგატა: ի գրքս յայցանէ = წიგნთა ამათ გან.

IX, 11. ტაძართა მათ იოვდამსთა εν οικια Ιουδα (ტაძარი მრავლობითშია, ბერძნულად კი მხოლოდითში); შეადარეთ სომხური ვულგატა: յապարասն Յուդայ = ტაძართა მათ იოვდამსთა.

X, 43. ჳელითა მით სახელისა მისისაჲთა: δια του ονοματος αυτου; შეადარეთ სომხური ვულგატა: անուամբ = სახელითა; ფეშიტთა: ܐܢܘܢܝܢ სახელითა მისისაჲთა.

XV, 26. თავნი თვსნი მისცნეს: παραδεδωκισι τας ψυχας αυτων; სომხური ვულგატა: մատնեցին գանձինս իրեանց (მისცნეს სულნი თვსნი); ფეშიტთა: ܐܘܠܘܚܐ ܐܘܠܘܚܐ (მისცნეს სულნი თვსნი).

XVI, 21. ფრომნი. ყურადღება მიაქციეთ ქართული სიტყვის (ჰრომნი) ამ ძალიან ძველ ფორმას, რომელიც შემონახულია ადიშის ოთხთავშიც, ლ. 23, 38 და ი. 19, 20.

ჩვენ ვაპირებთ დაწვრილებითი გამოკვლევა საქმე მოციქულთას ქართული ტექსტის წარმოშობაზე სხვა დროს წარმოვადგინოთ. ამჯერად კი ქ. გარიტის გამოკვლევის დასკვნები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

1) სომხურიდან თარგმნილია „საქმეთას“ ძველი ქართული ვერსია.

2) ქართული ვერსიის სომხური დედანი სომხური ვულგატა არ არის (ვულგატის უძველესი ხელნაწერები მეცამეტე საუკუნისაა).

3) პირველადი ქართული ვერსიის ძველი – დაკარგული – სომხური დედანი, როგორც ჩანს, ძველი სირიული ვერსია იყო (განსხვავებული ფეშიტათასაგან).

4) სომხურიდან ნათარგმნი ქართული ვერსია შესაძლებელია იყოს გადასინჯული ბერძნულ ტექსტთან შესათანხმებლად.

ასე რომ საქმე მოციქულთას ძველი ქართული ვერსიის ისტორია ქართული ოთხთვის ვერსიის სრულიად მსგავსი ჩანს [იხ. 5, გვ. 144-165].

ესე იგი, აქ ძირითადად ჩანს დასავლეთ ევროპაში მიღებული აზრი, რომ ბიბლია ქართულად თარგმნილია დაკარგული სომხური დედნიდან, ხოლო თვით სომხური თარგმნილია დაკარგული სირიული დედნიდან. მეთოდოლოგიურად, ეს ნიშნავს, რომ ვაშენებთ ვარაუდს ვარაუდზე. განა შეიძლება შედეგი მტკიცე იყოს?

განვიხილოთ პროფ. გარიტის არგუმენტები დეტალურად:

I, 26. აქ მხოლოდ მითითებულია, რომ ქართული ტექსტი ძველი რედექციისაა, რადგან იგივე ვარიანტი არსებობს წმ. ავგუსტინესთან. მაგრამ ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი აქ მითითებული არ არის: ქართულში ვკითხულობთ "თანა-შე-ერაცხა", ესე იგი, ზმნა არის ორმაგი ზმნისწინით. ბერძნულშიც არის ზმნა ორმაგი ზმნისწინით: $\sigma\nu-\kappa\alpha\tau-\epsilon\psi\eta\mu\omicron\varsigma\eta$. ზმნისწინი არ არსებობდა არც სირიულ ენაში, არც სომხურში ბიბლიის თარგმანის დროს. ესეც ნიშნავს, რომ დედანი ბერძნული იყო! სხვათა შორის, ამ წიგნში არსებობს კიდევ სხვა ასეთი შემთხვევებიც: საქმე 3,18: წინადაწარ-ად-უთქუა: $\pi\rho\theta-\kappa\alpha\tau-\eta\psi\chi\epsilon\lambda\epsilon\nu$ ეს მნიშვნელოვანია; 12,25: თანა-წარ-იყვანეს: $\sigma\mu-\pi\alpha\rho\alpha-\lambda\alpha\beta\theta\nu\tau\epsilon\varsigma$; 15, 37: თანა-წარ-იყვანა: $\sigma\mu-\pi\alpha\rho\alpha-\lambda\alpha\beta\epsilon\iota\nu$. ესეც მნიშვნელოვანია, ეს საბუთი არ მომდინარეობს ბიბლიური რედექციების ზოგადი შედარებიდან, იგი სუფთა ენათმეცნიერული ხასიათისაა. ამის შესახებ უფრო ვრცელად მე ვსმჯელობდი ზურაბ სარჯველაძისადმი მიძღვნილ წიგნში.

საკუთრივ საქმე მოსციქულთასთან მიმართებით იხილეთ აგნეს უზუნიაანის სტატიაში.

VIII, 27. ინდოე: მთელ ანტიკურ სამყაროში მიღებული იყო, რომ ინდოეთის ოკეანის სანაპირო "ინდოეთი" იყო, ეთიოპიამდე. განსაკუთრებით ასე იყო ბერძნულ, სირიულ, სომხურ და ქართულ ლიტერატურებში.

VIII, 35. "წიგნთა": *საქმე მოციქულთაში* მხოლოდ აქ არის მხოლოდითი რიცხვი ბერძნულში, ხოლო მრავლობითი - ქართულში. მაგრამ ორჯერ არის მხოლოდითი ბერძნულშიც და ქართულშიც: 1, 16 და 8, 32; ხოლო სომხურში 8, 32 მრავლობითია. ქართულის დედანი ამ ორ ადგილს არ შეიძლება იყოს სომხური.

IX, 11. კიდევ, შვიდეჯერ გვაქვთ მხოლოდითი რიცხვი ბერძნულში და ქართულშიც, სადაც სომხურში მრავლობითია (იქ მხოლოდითი არ არსებობს): 11, 11; 17,5; 18, 7 (ორჯერ); 21, 8; და 23,35. ვფიქრობ, აქ უადგილოდ არ იქნება შემდეგი სტატისტიკა: უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნილია „ძლისპირნი“, ვიყენებ აკადემიკოსი ელენე მეტრეველის გამოცემას. აქ ვიპოვე 93 შემთხვევა მრავლობითისა ბერძნული მხოლოდითის ნაცვლად (სხვათა შორის, ეტლი), და 30 შემთხვევა მხოლოდითი მრავლობითის მაგიერ: ესე იგი ეს ძალიან სუსტი საბუთია.

X, 43. *კელითა მით* ნაცვლად *მეშვეობით* ფართოდ გავრცელებულია ბიბლიის სალიტერატურო ტრადიციაში, თვით ბერძნულადაც: იხ., მაგალითად, ლევ. 10, 11: კელითა= δία χεριοϋ, და ნიშნავს: მეშვეობით.

XV, 26. "თავი თვისი" წესიერი უკუქცევითი ნაცვალსახელია ქართულში, სადაც ბერძნულში, სირიულში და სომხურშიც ნახმარია "სული".

XVI, 21. ფრომნი: ეს არ არის არგუმენტი სომხურიდან მომდინარეობაზე. რადგან ეს ფორმა ქართულში ირანულიდან მოდის, ხოლო სომხურში საერთოდ არ ჩანს.

ამგვარად, ზუსტი არ ჩანს პროფ. გ. გარიტის და ევროპაში ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ *საქმე მოციქულთა* თარგმნილია სომხურიდან.

მითითებული ლიტერატურა:

1. Garitte, G., *L'ancienne version géorgienne des Actes des Apôtres d'après deux manuscrits du Sinaï*, Louvain 1955.
2. აბულაძე, ი., *მოციქულთა საქმე*, თბილისი 1949.
3. Ropes J.H., *The Text of Acts*, Londres 1926.
4. Akinian N., *Surb Ep'rem meknut'wn gorcoc' ařak'eloc'*, Vienne 1921.
5. Lyonnet, S., *Les origines de la version arménienne et le Diatessaron*, Rome 1950.